განკარგულება:**g-27.27213121**
თარიღი:**08/11/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 75

08 ნოემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მინიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრს“ (საკადასტრო კოდი: 431437938) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, რუსთაველის გამზ. №93-ში (საკადასტრო კოდი: 53.20.47.558) მდებარე №3 შენობა-ნაგებობის I სართულზე არსებული 190 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი